

შპს ტყუპები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის

ფინანსური ანგარიშგება

თბილისი 2025 წელი

ზოგადი ინფორმაცია

საწარმოს სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება - შპს
ტყუპები, ს/ნ 400066334 (შემდგომში - საზოგადოება).

საგადასახადო რეგისტრაციის თარიღი- 2012 წლის 8 ნოემბერი; დღგ-ს გადამხდელი - 2013
წლის 3 იანვრიდან.

საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი - საქართველო, მცხეთის
რაიონი, დაბა ზაჰესი, პლატინის ქუჩა, N 32

საზოგადოების საბანკო ანგარიშებია: GE14BG0000000996858500 GEL;
GE14BG0000000996858500 EUR; GE14BG0000000996858500 USD.

საზოგადოებას სალარო აპარატი არ გააჩნია.

საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან და მათი წილები საწესდებო კაპიტალში
შეადგენს:

- | | | |
|------------------------------|-----------------|-------|
| 1. გია იანვარაშვილი, | ს/ნ 01021015573 | - 33% |
| 2. კონსტანტინე იანვარაშვილი, | ს/ნ 01022002314 | - 34% |
| 3. ანდრია ჭულუხიძე, | ს/ნ 01025015270 | - 33% |

საზოგადოება სხვა საწარმოების საწესდებო კაპიტალში წილებს არ ფლობს.

საზოგადოების ხელმძღვანელია - კონსტანტინე იანვარაშვილი, თანამშრომელთა რაოდენობა
შეადგენს 29 კაცს;

საზოგადოების საქმიანობის სფერო - სატვირთო საგზაო ტრანსპორტი, სხვა
სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების
თარიღია 2024 წლის 31 დეკემბერი. ფინანსური ანგარიშგებით მოცული პერიოდი-2024 წელი.

ზოგადი დებულებები

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მიზანს შეადგენს ეკონომიკური
გადაწყვეტილებების მისაღებად დაინტერესებული პირებისთვის, მისი საქმიანობის
ფინანსური შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე.

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების, ასევე ახსნა-განმარტებით შენიშვნებში
აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის დაფიქსირება ხდება 2024
წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით.

წარდგენის ვალუტა

საზოგადოება აღრიცხვას აწარმოებს ქართულ ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

ეკონომიკური შინაარსის და საქმიანობის შესაბამისად, ქართული ვალუტა აღიარებულია როგორც შეფასების ვალუტა.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტის - ქართული ლარის გარდა, საზოგადოება საბანკო ტრანზაქციებს ანხორციელებს ევრო-ს ანგარიშებით.

საზოგადოებამ მოახდინა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლების გადაფასება. კერძოდ, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კურსთაშორის სხვაობიდან მიღებულ ზარალმა შეადგინა- 87903 ლარი (2023 წელს - 178074 ლარი).

საქმიანობის უწყვეტობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისმობს, რომ საზოგადოება განაგრძობს უწყვეტად ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში.

საზოგადოებაში არ იგეგმება მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, არ არსებობს აღნიშნულის წინა პირობა. დამფუძნებლებს აქვთ სურვილი განავითარონ და გააფაროვნ საწარმოს მუშაობა.

ქვემოთ არის წარმოდგენილი საზოგადოების 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების საშედეგო ცხრილები და წინასაანგარიშგებო 2022-2023 წლების შესადარისი მაჩვენებლები.

კერძოდ:

- საქმიანობის შედეგების ცხრილი;
- ფინანსური მდგომარეობის ცხრილი;
- კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ცხრილი;

შპს ტყუპები

საქმიანობის შედეგები (საანგარიშგებო პერიოდი - 2024 წელი) ლარი

შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2024	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2023
ნეტო ამონაგები	6111769	4946636
მ.შ . საქონლის გაყიდვიდან	1649850	1786553
მ.შ.მომსახურების გაწევიდან	4461919	3160083
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1535504	1636780
საერთო მოგება	4576265	3309856
ხელფასი	1998393	952826
ადმინისტრაციული ხარჯები	602810	471848
სხვა საოპერაციო ხარჯები	494895	586510
მათ შორის		
ავტომობილების საწვავი	489952	582951
საგადასახადო ხარჯი		
საკომუნიკაციო ხარჯი(ინტერნეტი)	4943	3559
ბანკების სესხების პროცენტი	309224	187605
საპენსიო ხარჯი	36144	18162
ცვეთა, ამორტიზაცია	328053	216185
საოპერაციო ხარჯი, სულ	3769519	2433136
საოპერაციო მოგება (ზარალი)	806746	876720
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	991994	903400
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	87903	178074
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	185248	26680
არასაოპერაციო ხარჯები		
ხარჯები, სულ	5392926	4247990
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	904091	725326
მოგების გადასახადი	0	18390
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	904091	706936

შპს ტყუპები

ფინანსური მდგომარეობა (საანგარიშგებო პერიოდი - 2024 წელი)

ლარი

შინაარსი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2024	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2023	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2022
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1252196	815145	216827
მ.შ. ბანკი	141373	66865	30962
მ.შ. სალარო	1110823	748280	185865
სავაჭრო მოთხოვნები (დებიტორული დავალიანებები)	267334	170839	166500
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	330	5695	245843
სხვა მოკლევადიანი აქტივები	11617	4605	6479
ძირითადი საშუალებები	4853212	3778858	1,679,800
სულ აქტივები	6384689	4775142	2315449
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები კრედიტორების მიმართ	31624	40425	72570
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	33,149	50,656	46,913
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3665967	2987269	1239897
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	191064	0	0
სულ ვალდებულებები	3921804	3078350	1359380
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	1558794	956069	729253
გაუნაწილებელი მოგება	904091	706936	796816
კაპიტალის შემცირება დამფუძნებელთა მოთხოვნის ხარჯზე		104211	570000
სულ საკუთარი კაპიტალი	2462885	1558794	956069
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6384689	4637144	2315449

შპს ტყუპები			
ფულადი სახსრების მოძრაობა (საანგარიშგებო პერიოდი - 2024 წელი)		ლარი	
		საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2024	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	6296617	8,872,853	
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	6463325	-6,116,477	
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	691662	-2,184,738	
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	524954	571638	
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-87903	26,680	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	815145	216827	
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1252196	815145	

განმარტებითი შენიშვნები

სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველი

საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია ბასს-ის ძირითადი დაშვებები - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო. საზოგადოების ხელმძღვანელობას

აქვს შემუშავებული და იყენებს ისეთ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომლის საფუძველზე მიღებული ინფორმაცია სამართლიანად ასახავს საწარმოოს საქმიანობის შინაარს, ეკონომიკურ მოვლენებს და ობიექტურია.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროს გამოყენებულია სააღრიცხვო პოლიტიკის პირველადი შეფასების საფუძველი. ცვლილებები საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასებებში არ მომხდარა.

აქტივები

საზოგადოების აქტივების მოცულობა, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 6384689 ლარს, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 33,7% - ით, ხოლო 2022 წელთან მიმართებაში კი 2,76 ჯერ. აქტივების ზრდა განპირობებულია ძირითადი საშუალებების 28,4 % -ით მატებით წინა წელთან შედარებით. საანგარიშგებო წელს შესყიდულ იქნა 1592200 ლარის ძირითადი საშუალებები და მათ მოცულობამ 2024 წლის ბოლოსთვის შეადგინა 4853212 ლარი.

ამასთან ერთად, საზოგადოებაში 2024 წელს წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად, 53,6 %-ით გაიზარდა ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, ხოლო 2022 წელთან შედარებით - 5,76 ჯერ და შეადგინა 1252196 ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, საკმარის უარყოფითი სურათი ფიქსირდება სავაჭრო მოთხოვნების (დებიტორული დავალიანებების) დინამიკის მხრივ, საანგარიშგებო წელს წინა წელთან შედარებით აღნიშნული პარამეტრი გაიზარდა 96495 ლარით და შეადგინა 267334 ლარი.

საზოგადოებაში ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თავდაპირველი თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ აქტივების ხელახალი შეფასება საანგარიშგებო წელს არ განხორციელებულა.

აქტივის თვითღირებულებაა გარიგების ფასი აქტივის შესყიდვის დროს (გადახდილი თანხა). თვითღირებულება მოიცავს ასევე ამ აქტივის შემენასთან პირდაპირ დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. აღიარება ხდება შესყიდვის დოკუმენტების, ანგარიშ-ფაქტურების, მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ანგარიში ხდება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება საზოგადოების ხელმძღვანელობის მიერ.

ვალდებულებები

საზოგადოებას აქვს ვალდებულებები წარსული მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა მოსალოდნელია, რომ გამოიწვევს ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლას საწარმოდან. ასეთი ვალდებულებები (კრედიტორული) მოცემულია ხარჯის სახით, რაც წარმოადგენს მიღებული სერვისის ან პროდუქციის ასანაზღაურებელ თანხას.

კრედიტორული დავალიანება, რომლის დაფარვის ვადაც ერთ წელზე მეტია, აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

აქტივების ზრდის პარალელურად გაიზარდა ვალდებულებების მოცულობა, მატებამ შეადგინა 22,7% ანუ 843454 ლარი და მიაღწია 3921804 ლარს. მთლიანი ვალდებულებების 93,5% მოდის გრძელვადიან სასესხო ვალდებულებებზე, რომელთა მოცულობამ საანგარიშგებო წლის ბოლო თარიღისთვის შეადგინა 3665967 ლარი და წინა წელთან შედარებით გაიზარდა 22,7% -ით, ანუ 678698 ლარით. სასესხო ვალდებულებების დაფარვა მიმდინარეობს გეგმაზომიერად.

საანგარიშგებო წელს საზოგადოებამ დაფარა დავალიანებების ძირი თანხიდან 728322 ლარი, დაფიქსირდა სესხის დავალიანების შემცირების ტენდენცია. სესხის გადახდილი პროცენტის თანხამ შეადგინა 309224 ლარი.

კაპიტალი

საზოგადოების საკუთარი კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წინა წელთან შედარებით გაიზარდა 1,58 ჯერ, ანუ 904091 ლარით და შეადგინა 2462885 ლარი. აღნიშნული შედეგი მიღწეულია გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე.

ანგარიშგების შემდგომი მოვლენები

შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახა ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებებში.

პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები


პირობითი ვალდებულებები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, ვინაიდან მოსალოდნელი არაა ეკონომიკური სარგებლის გასვლა საზოგადოებიდან და შესაძლებელია ვალდებულებების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე არ არის ასახული პირობითი აქტივები. ამ სახის ეკონომიკური სარგებლის შემოსვლის შესაძლებლობა საზოგადოებაში არ ფიქსირდება.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს ტყუპების წარმოდგენილი 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია, საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორების 2025 წლის 09 სექტემბრის საერთო კრების საოქმო გადაწყვეტილებით.

შპს ტყუპები -ს დირექტორი,
კონსტანტინე იანვარაშვილი



შპს-ს ტყუპების (ს/ნ 400066334) პარტნიორთა კრების
ოქმი

ქ. თბილისი

09.09.2025 წელი

დღის წესრიგი:

1. კრების თავმჯდომარის არჩევა.
2. შპს ტყუპები (შემდგომში -საზოგადოება) 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების შესახებ კრებას ესწრებოდნენ: საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები: . გია იანვარაშვილი, ს/ნ 01021015573; კონსტანტინე იანვარაშვილი, ს/ნ 01022002314; ანდრია ჭულუხიძე, ს/ნ 01025015270 ;
კრების თავმჯდომარედ იქნა არჩეული კონსტანტინე იანვარაშვილი.

სიტყვით გამოვიდა საზოგადოების ხელმძღვანელი კონსტანტინე იანვარაშვილი. მან აღნიშნა, რომ შპს-მ ტყუპები სამეურნეო 2024 წელი დაასრულა წარმატებით, გაუთვალისწინებელი პრობლემების გარეშე. გაგრძელდა 2023 წელს ფორმირებული რენტაბელური საქმიანობის ტენდენცია. საზოგადოების საოპერაციო შემოსავლები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 23,5%-ით (2023 წელს, წინა წელთან შედარებით დაფიქსირდა მატება 20,3 % - ით) ანუ 1165133 ლარით და შეადგინა 6111769 ლარი, საანგარიშებო პერიოდის მოგებამ შეადგინა 904091 ლარი.


მომხსენებელმა გაამახვილა ყურადღება საანგარიშებო წელს აღებული სესხის მოცულობის რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სესხის მოცულობამ საზოგადოებაში საანგარიშო წელს შეადგინა 1419984 ლარი, შესყიდული ძირითადი საშუალებების მოცულობამ კი 1592200 ლარი. დაფარულია დავალიანებების ძირი თანხიდან 728322 ლარი, დაფიქსირდა სესხის დავალიანების შემცირების ტენდენცია. სესხის გადახდილი პროცენტის თანხამ შეადგინა 309224 ლარი.

ვინაიდან საზოგადოება არის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მე-3 კატეგორიის სტატუსის მქონე საზოგადოება, მისი ხელმძღვანელობა ვალდებულია წარმოდგენილი, საზოგადოების 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების პროექტი განიხილოს, დაამტკიცოს და წარუდგინოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს დადგენილ ვადაში.

კრებამ განიხილა წარმოდგენილი, საზოგადოების 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება და მიიღო გადაწყვეტილება:

1. ცნობად იქნას მიღებული საზოგადოების ხელმძღვანელის, კონსტანტინე იანვარაშვილის მოხსენება 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ;
2. მოწონებულ იქნას და დამტკიცდეს საზოგადოების 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება.
3. დაევალოს საზოგადოების ხელმძღვანელს, უზრუნველყოს დამტკიცებული, საზოგადოების 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში, დადგენილი პროცედურებისა და წარდგენის ვადების სრული დაცვით.

კრების თავმჯდომარე,
დამფუძნებელი პარტნიორი



გია იანვარაშვილი